საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 01/30 „15" 01 2016 წ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება № 1/2016

მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანების N 39/04, 23.12.2015 და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 29 იანვრის სხდომის №1 ოქმით დამტკიცებული წესის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს 2016 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების კონკურსი;
2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ფაკულტეტის ძირითად სასწავლო მიმართულებებს;
3. პროექტში სავალდებულოა ფაკულტეტის არანაკლებ 2 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის ჩართულობა, მათ შორის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტისთვის აუცილებელია არანაკლებ 150 კრედიტისა და 3.0 GPA რეიტინგი;
4. საპროექტო წინადადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 18 იანვარი – 18 თებერვალი;
5. გამარჯვებული პროექტები გამოვლინდეს არაუგვიანეს 28 თებერვლისა.
6. შეიქმნას საბუთების მიმღები აპარატი თ. მატარაძის, ნ. ოსეფაშვილისა და ა. ახალაძის შემადგენლობით;
7. საპროექტო წინადადებები მიიღება ბეჭდური და ელექტრონული (CD) ფორმით ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ, VI კორპუსი, ოთახი №203ა);

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

8. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციებს ჩაატარებს ყოველი კვირის ხუთშაბათს, 11.00 – 13.00 სთ. (თსუ, VI კორპუსი, ოთახი №204).
9. საპროექტო წინადადების ელექტრონული ვერსია და შესავსები ფორმები განთავსდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე: http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/social/social/budget
10. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურმა და კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება;
11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია